

შინმოვლა მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ხანდაზმული
მოსახლეობისთვის

ხატია თადიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია თადიაშვილი

2018 წელი

აბსტრაქტი

ყველა ადამიანი, ბუნებაში არსებული კანონზომიერების მიხედვით, საკუთარი ცხოვრების გასავლელ გზაზე, ადრე თუ გვიან უნდა მივიდეს იმ ეტაპამდე, რომელსაც სიბერე ჰქვია. თუმცა, საინტერესოა, რამდენი მათგანის დაბერების პროცესი მიდის ღირსეულად?! რამდენ მათგანს აქვს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ელემენტარული საარსებო პირობები?! და იმ შემთხვევაში, თუ ამ ადამიანებს არ აქვთ მშვიდი და ბაზისური საჭიროებებით დაკმაყოფილებული ხანდაზმულობა, მაშინ რას ვაკეთებთ ქვეყნის თითოეული მოქალაქე და რას აკეთებს თავად სახელმწიფო?! რატომ არის საჭირო იმ ადამიანებზე ზრუნვა, ვინც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა?! სწორედ, თაობათაშორისი ზრუნვით, ერთმანეთის დაფასებით, პატივისცემითა და გამოცდილების გაზიარებით იწყება ფიქრი ქვეყნის მდგომარეობაზე, მის წინსვლასა და განვითარებაზე.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომიც სწორედ ხანდაზმულობის პროცესის ძირითადი მახასიათებლების შესწავლას, სირთულეების გამოკვეთას და პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების ძიებას ემსახურება.

აღნიშნული ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ხანდაზმულობის პროცესის თანმდევი სირთულეების დასაძლევად არსებული შინმოვლის მომსახურების განხილვას, რომელიც ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში, წლებია, ინტენსიურად ვითარდება. ნაშრომში ასახულია ინფორმაცია როგორც საქართველოში შინმოვლის კუთხით არსებული პრაქტიკისა და მიმდინარე პროექტების შესახებ, აგრეთვე, გაზიარებულია საერთაშორისო გამოდილებაც აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის სათაურს, იგი საკითხს უფრო მეტად ავიწროვებს და მკითხველი მიჰყავს სწორედ იმ ეტაპამდე, რა დროსაც ყველაზე მეტად ხვდება შინმოვლის მომსახურების დანერგვის აუცილებლობასა და საჭიროებას. ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევაც სწორედ ერთ-ერთ

მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ხანდაზმულების მდგომარეობის შესწავლას დაეთმო.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა ნაშრომის შესავალში დასმული საკვლევი ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ხანდაზმულები განსაკუთრებით საჭიროებენ შინმოვლის მომსახურების დანერგვას. აღნიშნული მიმართულებით კვლევების გაგრძელება კი საწინდარი იქნება რელევანტური ღონისძიების განხორციელებისა.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები კონკრეტული ქმედებებისა და ამ ქმედებებზე პასუხისმგებელი უწყებების მითითებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხანდაზმულობა, სირთულეები, შინმოვლა, საჭიროება, მაღალმთიანი რეგიონები, სახელმწიფო.

Abstract

All people, according to the laws of nature, through their lifetime, someday will reach, the stage that is called old age.

However, it is interesting how many of them are aging with dignity? How many of them have basic livelihood conditions in their senior years?

And if these people do not have a peaceful senior year with basic needs satisfied, then what are we, as citizens of the country, doing and what is the state doing?! Why is it necessary to care for those who brought us to this day?

It is by care in-between different generations, by honoring, respecting and sharing experiences between each other do we start thinking about the condition of the country, its advancement and development.

The present Master's Thesis is the study of the main characteristics of the aging process, the difficulties and the possible ways to solve the problem.

The work outlines the information on the practice about home caring, which aims to solve problems associated with aging process and ongoing work in Georgia as well as the international manifestation of these issues.

As for the title of the master's thesis, it narrows the scope of the issue more and leads the reader to the point where the person understands the necessity of the introduction of home care services.

The research carried out in the study was dedicated to studying the condition of the elderly population living in one of the highlands.

The results of the study confirmed the hypothesis in the introduction that the elderly residents of the highland region particularly require the introduction of home care services. Continuation of studies in this direction will be a prerequisite for implementing relevant action.

In the framework of the master's thesis, all recommendations have been elaborated with reference to specific actions and agencies responsible for these actions.

Key search terms: elderly, difficulties, The need, High mountain regions, state .